მე-5 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი

1. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ბრუნებადი სახელები?

ა) რათა, რადგან ბ) ხატავს, გგონია გ) მზე, ღვინო

2. ჩამოთვლილთაგან რომელია ფორმაცვალებადი?

ა) რიცხვითი სახელი ბ) თანდებული გ) ნაწილაკი

3. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ფორმაუცვლელი?

ა) თან, ზე ბ) სამი, ოცი გ) კარგი, ხასხასა

4. რამდენი კონკრეტული არსებითი სახელია გამოყენებული წინადადებაში:
„ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ღვთისნიერი ქვრივი.“

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი

5. რომელია კრებითი სახელი წინადადებაში: „ბაბუ დიდხანს ვეძებე, თურმე ნაძვნარში ყოფილა.“ ა) ბაბუ ბ) ნაძვნარი გ) დიდხანს

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: ჩვენ, შენ?

ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის ნაცვალსახელთა ჯგუფს

7. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: ჩვენი, თქვენი?

ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის ნაცვალსახელთა ჯგუფს

8. რამდენპირიანია ზმნა ,,ხტის“?

ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი

9. შეუწყვეთ პირები ზმნას - გაუკეთა:

ა) ის მას ბ) მას ის გ) მან მას ის

10. შეუწყვეთ პირები ზმნას - შეიკერა:

ა) მან ის ბ) მან მას გ) ის მას

11. რომელია ზმნიზედა წინადადებაში: ,,გამოვედით თუ არა, მზემ მაშინვე კარგად გამოანათა.“

ა) გამოანათა ბ) მზემ გ) კარგად

12. რომელია ზმნიზედა წინადადებაში: „თითქოს მტკვარი ცისფრად ანათებდა.“

ა) მტკვარი ბ) ცისფრად გ) ანათებდა

13. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: ხეზე, ბუდეში?

ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

14. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: საშუალოდ, გულმხურვალედ?

ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

15. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: გუშინ, დღეს?

ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

16. „მხართეძოზე წევს“ ანუ

ა)გვერდულად წევს ბ) უსაქმურობს გ) ავადაა

17. ,,არაფერი იცის“ იგივეა, რაც:

ა) „ჭურში ზის“ ბ) „ჩაილურის წყალი დალია“ გ) ,,ფეხს ითრევს“

18. ,, აღდგომა გაუთენდა“ იგივეა, რაც:

ა) ძალიან გაუხარდა ბ) ძალიან შეეშინდა გ) ძალიან გაუკვირდა

19. ,, ბანზე სიტყვის აგდება“ იგივეა, რაც:

ა) თავიდან აცილება ბ) გაბრაზება გ) დაფიქრება

20. ,, ვირზე შეჯდა“ იგივეა, რაც:

ა) გაჯიუტდა ბ) სასეირნოდ წავიდა გ) გაუხარდა